სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/156

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2023წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 11 ოქტომბრის № 01-05-04/24 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ლუბლინის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის განვითარების, სამშენებლო მეცნიერებების დასავლურ აკადემიურ სივრცეში ჩართულობისა და საერთაშორისო ფორუმებზე ქართველი სტუდენტების მხარდაჭერისათვის, ლუბლინის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორს, **პროფესორს, დოქტორ-ჰაბილიტუსს კრშიშტოფ კოვალჩიკს** მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **საპატიო დოქტორის** წოდება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**